პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 აპრილი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 66 (9985) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ბაკურიანი იბრძოლებს ოლიმპიადის მასპინძლობისათვის

**ამას** წინათ „ლელო" იუწყებოდა ბაკურიანში საკავშირო სპორტსახკომის სპეციალისტთა ჯგუფის სტუმრობის შესახებ. ჯგუფს დავალებული ჰქონდა შეესწავლა საკითხი, თუ რამდენად რეალურია 1998 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად ბაკურიანის კანდიდატურის წამოყენება. ამ საკითხით ახლა პირადად დაინტერესდა საკავშირო სპორტსახკომისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე მარატ გრამოვი, რომელიც ამჟამად საქართველოში იმყოფება.

გუშინ მარატ გრამოვი ეწვია ბაკურიანს. იქვე მოეწყო თათბირი, რომელზეც გაიმართა მსჯელობა ბაკურიანის, როგორც სათხილამურო სპორტისა და ტურიზმის თვალსაჩინო ცენტრის შემდგომი განვითარების თაობაზე. მაგრამ ახლა ყველაფერს განიხილავენ ერთი მთავარი მიმართულებით და ერთი მიზნით — ბაკურიანმა უნდა მოიპოვოს თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება.

„დიდი ბაკურიანის" პროექტის მთავარმა არქიტექტორმა ვ. ქობულიამ, პროექტის ავტორმა ვ. მიქელაძემ, ადგილობრივი კურორტების საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ზ. ლულუნიშვილმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კ. წაქაძემ, ამომწურავად ილაპარაკეს ბაკურიანის პერსპექტივასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. ითქვა, რომ არსებული შესაძლებლობების სრულად გამოყენება მოგვცემს საშუალებას, აქ გაშენდეს ახალი ბაზები, რაც უზრუნველყოფს შეჯიბრებების ჩატარებას ოლიმპიური პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში, გარდა ფიგურული ციგურაობისა და ჰოკეისა. ბორჯომ-ბაკურიანის დღეს არსებული და მომავლისთვის დაგეგმილი სასტუმროები და საკურორტო კომპლექსები ყველა მონაწილის, ჟურნალისტისა და ტურისტის მიღებას უზრუნველყოფენ. რამდენიმე ტრასა უკვე მიიღო საერთაშორისო ფედერაციამ. ბაკურიანს აქვს დიდ ასპარეზობათა მასპინძლობის გამოცდილება. აქ ჩატარდა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სამი სპარტაკიადა, საერთაშორისო შეჯიბრებები. ბოლო ხანებში ოლიმპიადისწინა მზადებას აქ გადიან ქვეყნის ნაკრები გუნდები და ბაკურიანი მუდამ სპეციალისტთა საუკეთესო შეფასებას იმსახურებს. მსოფლიოს სხვა ცნობილი ცენტრებისაგან განსხვავებით, ბაკურიანში უფრო კომპაქტურადაა თავმოყრილი სპორტული ბაზები, რაც შეეხება ზამთრის სასახლეს (ფიგურული ციგურაობისა და ჰოკეისათვის) და მის მიმდებარე საწვრთნელ კომპლექსებს, წამოიჭრა საკითხი, რომ ისინი თბილისში აშენდეს.

შენობების, მშენებლობებისა და მოწყობილობების საერთაშორისო კომპანიის „ლეზ-არკის" (საფრანგეთი) კომერციულმა დირექტორმა მიშელ მელიავამ (იგი წარმოშობით ქართველია), რომელიც ამჟამად საქართველოში იმყოფება ბაკურიანის განაშენიანებაში დასახელებული კომპანიის მონაწილეობის საკითხის შესათანხმებლად, აღნიშნა, რომ „ლეზ-არკი" მაისში დაამთავრებს ახალმშენებლობათა დაპროექტებას. მანამდე მან ინფორმაციის სახით უამსწრეთ გააცნო გეგმის ცალკეული პუნქტები, რამაც საერთო ინტერესი გამოიწვია.

გააანალიზა რა ყველა დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორი, მარატ გრამოვმა თქვა: „მოსკოვში ჩავატარეთ ზაფხულის ოლიმპიადა. შემდეგ გვინდოდა ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლად დაგვესახელებინა ლენინგრადი (კავგოლოვო), მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა საკითხის განხილვაზე. დარჩა სამი კანდიდატურა: სოჭი (კრასნაია პოლიანა), ალმა-ათა (მედეო) და ბაკურიანი. თითოეულ მათგანს თავისი პრობლემები აქვს. იმ კანდიდატს, რომელიც „შინაურ" კონკურენციაში გაიმარჯვებს, შემდეგ დიდი პროპაგანდისტული მუშაობის ჩატარება მოუხდება საერთაშორისო მასშტაბით. ბრძოლა ძალიან დაძაბული იქნება. ბაკურიანისთვის მთავარი პრობლემაა სიშორე სპორტულ ბაზებს შორის (ბაკურიანი — თბილისი). ოლიმპიური ქარტიით, ობიექტებს შორის გზის დაფარვას 1 საათზე მეტი არ უნდა დასჭირდეს, თუმცა ეს წესი ზოგჯერ ირღვევა კიდეც. ასე მოხდა კალგარშიც. ვფიქრობ, გადამწყვეტი მაინც მანძილის შემცირების საკითხი იქნება. შეიძლება ვიფიქროთ სავერტმფრენო კავშირზეც. ბაკურიანი თავისი რელიეფური მდებარეობით, რაღა თქმა უნდა, უნიკალური ადგილია".

შემდეგ მარატ გრამოვი შეეხო ხარჯებს. ბაკურიანში ოლიმპიადის ჩატარების უზრუნველსაყოფად, თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, მთლიანად საჭირო იქნება მილიარდ 100 მილიონი მანეთი. საგულისხმოა, რომ აქედან 400 მილიონი ეკოლოგიური სიწმინდის დაცვის უზრუნველყოფას მოხმარდება.

წამოიჭრა ძეგვის გავლით თბილისიდან ახალი გზის გაყვანის საკითხი, რომლის ხორცშესხმაც მანძილს ბაკურიანამდე რამდენიმე ათეული კილომეტრით შეამცირებს. წამოაყენეს სხვა წინადადებებიც.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი.

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
„ლელოს" სპეც. კორ.
ბაკურიანი.



1989 წლის 4 აპრილი. ბაკურიანი. ამ წუთებში კოხტაგორის გადასახედზე ბევრი რამ წყდება 1998 წლის თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის ერთ-ერთი კანდიდატის სასარგებლოდ. ავტორის ფოტო.

### თვის მონაგარი

## ზამთრის სახეობებშიც გამოირჩნდნენ

**მარტი,** მართალია, გაზაფხულის პირველი თვეა, მაგრამ სეზონის ამ პერიოდში სპორტის ზამთრის სახეობათა წარმომადგენლები დიდ თუ პატარა შეჯიბრებებში მაინც ინტენსიურად მონაწილეობენ.

სამწუხაროდ, „თვის მონაგარში" საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა წარმომადგენლების მიღწევებს უიშვიათესად ვიხსენებთ. ან რა უნდა გავიხსენოთ, როცა გასახსენებელიც არაფერი ან თითქმის არაფერია.

საბედნიეროდ, წლევანდელი მარტი ამ მხრივ გამონაკლისი აღმოჩნდა. ამ თვეში თავი თუ ვინმემ გამოიჩინა, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის სპორტის ზამთრის სახეობათა წარმომადგენლებიც იყვნენ.

„თვის მონაგარი" სწორედ მათი მიღწევებით გვინდა დავიწყოთ.

**ჩეხოსლოვაკიაში** გამართულ სპორტის ზამთრის სახეობათა „დინამოს" კოლექტივების XI საერთაშორისო სპარტაკიადაზე ბაკურიანელი კახაბერ წაქაძეც გამოდიოდა და დიდი ტრამპლინიდან ხტომაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ჩვენმა მფრინავმა მოთხილამურემ ამის შემდეგ ძალა სცადა კრასნოიარსკში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში, სადაც გამარჯვებულ გორკელ პაველ კუსტოვს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილი დაიკავა.

ამრიგად, კახაბერ წაქაძე საქართველოს მფრინავ მოთხილამურეთაგან გახდა პირველი სპორტსმენი, რომელსაც საკავშირო თასის გათამაშებაში საპრიზო ადგილი ხვდა. ამასთან, წაქაძემ, კუსტოვთან ერთად, პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. არადა, ეს წოდება საბჭოთა სპორტსმენებმა უკანასკნელად... 19 წლის წინათ მოიპოვეს.

სასიამოვნოა, რომ საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა მიმდევრების წარმატება ამით არ ამოწურულა. სიგულდაში (ლატვია) გამართულ საკავშირო ჩემპიონატში, სადაც საციგაო სპორტის წარმომადგენლები ცდიდნენ ძალას, ბაკურიანელ ლევან თიბილოვისა და კახა ვახტანგიშვილის წყვილმა, 22 ეკიპაჟს შორის, ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

**ამერიკის** შეერთებული შტატების ქალაქ ოკლაჰომა-სიტიში გამართულ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში თბილისელმა ლეილა მესხმა მეორე ადგილი დაიკავა, რასაც სპეციალისტები დიდ წარმატებად მიიჩნევენ.

**სულ** უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" პრიზზე გამართული ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი სინქრონულ ცურვაში. ამ ასპარეზობამ, რომელიც მოსკოვში გაიმართა, მეტად ძლიერ გუნდებს მოუყარა თავი. მათ შორის იყვნენ სპორტის ამ სახეობაში მოდის კანონმდებლები, აშშ-ისა და კანადის წარმომადგენლები. ასეთ ძლიერ კომპანიაში, საბჭოთა სპორტსმენთაგან თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა თბილისელმა ხრისტინა ფალასანიდიმ. მან ეგრეთწოდებულ

იხ. მე-4 გვ.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**გუშინ** დაიწყო სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის V ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

თბილისის დინამოელებმა ხარკოვის „მეტალისტი" მიიღეს და დაამარცხეს იგი — 2:1.

**მოსკოვში** ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და ლენინგრადის „ზენიტი". მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

### დაწინაურდა ლიუბოევიჩი

**ბარსელონაში** მიმდინარე ჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშების ამ ეტაპზე ოთხი ტურის შემდეგ დაწინაურდა იუგოსლავიელი დიდოსტატი ლიუბომირ ლიუბოევიჩი, რომელმაც გადადებულ პარტიაში დაამარცხა ალექსანდრე ბელიავსკი და 3,5 ქულა დააგროვა. არტურ იუსუპოვს კვლავ 3 ქულა აქვს. სხვა გადადებული პარტიების შედეგები: სალოვი — შორტი 1:0, ნოგეირასი — კორჩნოი 0,5:0,5.



ეს ბავშვები თელავის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები არიან. ნორჩებს მზრუნველობას არ აკლებენ შეფები—პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენლები. ამ დღეებში ინტერნატის მოსწავლეები შეფებმა თბილისში მოიწვიეს. წერილს ამ შეხვედრის შესახებ დღევანდელი ნომრის მე-2 გვერდში გთავაზობთ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ხარვეზებზე — საჯაროდ!

## სიმდიდრე გქონდეს და ვერ იყენებდე?

### ფიქრები ზამთრის პირველი საკავშირო ახალგაზრდული თამაშების შემდეგ

**ქალთა** შორის ევროპის თასის გათამაშების სტარტების ციებ-ცხელება არც იყო შენელებული, როცა გუდაური მოულოდნელად კიდევ ერთი დიდი ასპარეზობის— ზამთრის I საკავშირო ახალგაზრდული თამაშების მასპინძელი გახდა. როგორც ვიუწყებოდით, თავდაპირველად ეს შეჯიბრება ბაკურიანში იყო დანიშნული. გუდაურს გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის სარეზერვო როლი ეკავა.

ასპარეზობის მონაწილენი და ორგანიზატორები ბაკურიანში დროულად ჩავიდნენ და ინტენსიურად ივარჯიშეს კიდეც. მერე, როცა მსაჯთა კოლეგიის წარმომადგენლები ტრასების შემოწმებასა და მომზადებას შეუდგნენ, თოვლის საფარი ეცოტავათ. ერთი პერიოდი მისი შემოტანაც სცადეს. მაგრამ... ლამით წვიმა წამოვიდა, დღისით კი თაკარა მზემ ტრასებზე დარჩენილი თოვლიც გაალღო.

ერთი სიტყვით, ასპარეზობა გუდაურში გადაიტანეს. სათქმელად იოლია, გადაიტანესო, თორემ...

ახლა, როცა ყველაფერი უკან დარჩა, საკავშირო და რესპუბლიკის სპორტსახკომის, შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტების, საბჭოთა და უცხოელ სპორტსმენთა, მსაჯთა და მწვრთნელთა სახელით მადლობას იმსახურებენ სხვადასხვა ორგანიზაციები — რესპუბლიკის ტრანსპორტისა და გზათა მშენებლობის, ვაჭრობის და ჯანმრთელობის სამინისტროები, სპეცტრანსის „კავკაზტრანსმშენის", ტურიზმისა და კურორტების სამმართველოები, „ცეკავშირის" გამგეობა, სახელმწიფო ავტოინსპექცია. ბორჯომის, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები, მათ დაქვემდებარებაში შემავალი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და საქმესთან უშუალოდ დაკავშირებული მუშაკები.

ცალკე უნდა აღინიშნოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს დამსახურება თასის გათამაშების პერიოდში თბილისი-სოფიას და თბილისი-ბრატისლავას შორის პირდაპირი, ეგ-

იხ. მე-2 გვ.

საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა

# სიმდიდრე გქონდეს და ვერ იყენებდე?

(დასასრული)

რეთ წოდებული ჩარტერული რეისების ორგანიზაციისათვის.

ამასთან დაკავშირებით გვინდა საზოგადოებრიობას ვაუწყოთ, რომ ჩვენს რესპუბლიკას თურმე უდიდესი პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია უმაღლესი რანგის — ევროპის, მსოფლიოსა და სხვა საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებების ჩატარებისთვის. მონდომების შემთხვევაში შეგვძლებია ყველაზე დიდ საქმესაც შესანიშნავად გავართვათ თავი. განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი ჩვენი რესპუბლიკის პრესტიჟს, ერის სახელს ეხება.

შეიძლება განვაცხადოთ ისიც, რომ სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ფის-ის და მასთან ერთად, რა თქმა უნდა, საკავშირო სპორტსახკომის სათხილამურო ფედერაციის მესვეურთა ყურადღება ჩვენი რესპუბლიკისკენაა მიპყრობილი. ამდენად, არც ისაა გამორიცხული, რომ 1998 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი მართლაც ჩვენი სიამაყე — ზამთრის სახელგანთქმული ცენტრი ბაკურიანი გახდეს. მანამდე კი საჭიროა დიდი გამოცდილების შეძენა. ასეთი შეჯიბრებებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაზე, მომზადებაზე დღენიადაგ ზრუნვა. რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის მეტი პრაქტიკული ძალისხმევა.

ხშირად ხუმრობენ, ღმერთმა თავისი მადლიანი კალთა საქართველოს დააბერტყაო. ღვთის წყალობით აქ



არც თოვლი დავიწყებულა. თოვლი ისეთივე სიმდიდრე ყოფილა, როგორიც ვენახი, ციტრუსი, ჩაი...

უცხოელი სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ სამთო-სათხილამურო სპორტის კლასიკურ ქვეყნებშიც (ავსტრია, საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია) კი იშვიათად შეხვდებით ისეთ ადგილს, როგორიც გუდაურია. აქ ხომ სწრაფდაშვების, სუპერ გიგანტის, გიგანტური სლალომის და სპეციალური სლალომის ტრასები კომპაქტურად, ერთად არიან თავმოყრილი.

გუდაურში ახლა ორასამდე ღამის სათევს ითვლიან. წინასწარი განაცხადის გარეშე ჩასული კაცი გუდაურში დილამდე გასათევად დასაჯდომ ადგილსაც ვერ იპოვის. საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ერთდროულად დასაჯდომი ადგილი ასზე ნაკლები ყოფილა. შეჯიბრების მონაწილეებისთვის კი აუცილებელია ერთდროული მომსახურება. ამას მოითხოვს ასპარეზობის რეჟიმი. ამიტომ გუდაური საცხოვრებელი ბაზის თვალსაზრისით ჯერჯერობით მზად არაა დიდი მასშტაბის ტურნირების მასპინძლობისთვის.

ბაკურიანში პირიქითაა: სასტუმროები გაცილებით მეტია, საბაგირო გზები და სასრიალო ფერდობები და ტრასები კი — ნაკლები. მომავალში ალბათ ამ თანაფარდობასაც ყურადღებით შესწავლა ჰირდება.

გუდაურში საცხოვრებელი ადგილის უქონლობის გამო ახალგაზრდული თამაშების მონაწილე გუნდები თბილისის და ყაზბეგის ტურბაზებში დასახლდნენ. გუდაურამდე და უკან მგზავრობაში, ცხადია, დიდი დრო იკარგებოდა.

ახლაც შეჯიბრების მონაწილეები, მსაჯები, ტურისტები გულისწყრომას გამოთქვამდნენ, რომ უკვე საქვეყნოდ აღიარებულ ცენტრში ბინისა და კვების საკითხები კოოპერატორთა ხელში უყურადღებოდაა მიტოვებული. განა ნორმალურად ჩაითვლება, როცა კოოპერატივ „შინოში“ ღამისთევა (ერთი საწოლი) და დღიური კვება 38 მანეთს აღწევს? შედარებით ნორმალური მდგომარეობაა და იგი სახელმწიფო ნორმებს თითქმის არ სცილდება „კავკაზტრანსმშენის“ პატარა სასტუმროში. აქ ღამისთევა 3,5-დან 5,5 მანეთამდეა, რაც ყველა რანგის სტუმრისთვის ასე თუ ისე ხელმისაწვდომია. სასტუმროში 40 ადგილია.

გაზაფხულიდან იქვე საძირკველჩაყრილ შენობასაც ააშენებს „კავკაზტრანსმშენი“ და, როგორც ამბობენ, ეს ორი შენობა უნდა გახდეს გუდაურში ნორმალური „ფინანსური“ ცხოვრების ტონის მიმცემი.

რამდენიმე სიტყვა ეკოლოგიაზე. სასტუმრო „გუდაურში“, სადაც თბილისელები, ყაზბეგელები, ფასანაურელები და ზოგიერთი ახლო კბარე სოფლის მცხოვრებლები მუშაობენ, შეიძლება ითქვას, სანიმუშო



ფასანაურ-გუდაურის გზაზე. თორნიკე ბაქრაძის ფოტო.

წესრიგი აქვთ. სამზარეულოს და სასადილოს ნარჩენებთან ერთად ყველანაირი ნაგავი კონტეინერებში იპრესება და შორს, საგანგებოდ გამოყოფილ ნაგავსაყრელებზე მანქანებით გადააქვთ. სხვა საცხოვრებელ ადგილებში ნაგავი სახლების გვერდით ან გზის პირებზე იყრება. გუდაურში ტუალეტიც იშვიათობაა, რაც არის, ისიც კეთილმოუწყობელია და სიბინძურე, აგრეთვე ყველანაირი ნაგავი თოვლის ნადნობთან ერთად მთის წყაროებში ჩაედინება. ეს წყაროები კი თეთრი არაგვის შენაკადებია და მასთან ერთად ჟინვალის წყალსაცავში ჩაედინება. ამ წყალს კი მოსახლეობაც იყენებს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გვაფიქრებს. თუ უცხოელებმა ორ წელიწადში 350 კაცისთვის გათვალისწინებული შესანიშნავი კომპლექსი ააგეს და ჩააბარეს, რა დაემართა ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო ტრესტს, რომ 150-ადგილიანი ინტერნატის შენობის აგებას შვიდი წელიწადი მოანდომა და მაინც, საექსპლოატაციოდ ვერ გადასცა? თუმცა, როცა მოინდომეს, შენობის ერთი ნაწილი რამდენიმე დღეში მოამზადეს სტუმრების მისაღებად (ევროპის თასის გათამაშების დღეებში). საქართველოს მოთხილამურეთა ნაკრები გუნდი მხოლოდ და მხოლოდ ამ ინტერნატის მოლოდინშია, ინტენსიური ვარჯიშის დაწყებას მისი ექსპლოატაციაში გადაცემის შემდეგ აპირებენ.

• • •

ყველამ იცის, რომ უვარჯიშებლად შეჯიბრებაზე გამოსვლა შედეგს არ იძლევა. ახალგაზრდულ თამაშებზე საქართველოს სამთო-მოთხილამურეთა ნაკრებმა სპორტსმენთა დიდი სურვილისა და თავგამოდების მიუხედავად, 30 ჩასათვლელი ქულით ბოლოსწინა მე-18 ადგილი დაიკავა. და ეს მაშინ, როცა გამარჯვებულმა კრასნოიარსკის კოლექტივმა 586 ქულა მოაგროვა, მეორე და მესამე ადგილებზე გასულმა პერმისა და კემეროვოს გუნდებმა კი შესაბამისად 544 და 459 ქულა აიღეს.

რა თქმა უნდა, ყველამ გულისტკივილით აღვიქვით ჩვენი მოთხილამურეების სუსტი გამოსვლა.

აქვთ თუ არა საქართველოს მოთხილამურეებს უკეთესად მომზადების საშუალება და რას მიიჩნევთ ჩამორჩენის მიზეზად? ამ კითხვით მივმართეთ სპეციალისტებს.

**ვალერი ტიხომიროვი** — საბჭოთა კავშირის სპორტსახკომის მთავარი სპეციალისტი, სამთო-სათხილამურო სპორტის განყოფილების გამგე: საქართველოში შესანიშნავი სავარჯიშო და საშეჯიბრო ბაზებია როგორც ბაკურიანში, ისე გუდაურში. ბაკურიანში საცხოვრებელი ბაზებიც საკმარისად არის, რასაც ვერ ვიტყვით გუდაურზე, მოთხილამურეს ხანგრძლივი და დიდი დატვირთვით მუშაობისთვის უნდა ჰქონდეს ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები, ამის შესაძლებლობა გუდაურში არ არის, ჯერ ბინების სიმცირის, მერე კი კვების სიძვირის გამო, გუდაურში სანამ ასეთი პირობები იქნება, ვერც ერთი ორგანიზაცია ხანგრძლივ შეკრებას ვერ ჩაატარებს. ე. ი. აქ შეიძლება მარტო ჩვეულებრივი შეჯიბრის ჩატარება და არა ხანგრძლივი წვრთნა. ამის საშუალება ბაკურიანს უკეთესი აქვს. ქვეყნის ნაკრები გუნდის შემადგენლობა ხშირად ვამგზავრით ავსტრიაში ან საფრანგეთში, სადაც ზაფხულში შეიძლება ალპების ზოგიერთ ბაზებზე თოვლზე ვარჯიში. ამით ბოლო პერიოდში ჩვენი სამთომოთხილამურეები შედარებით მეტ კონკურენციას უწევენ მსოფლიოს ვარსკვლავებს. თქვენი მოთხილამურეები საქართველოს რეგიონებში არსებულ შესანიშნავ შესაძლებლობებს, როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით ვერ იყენებენ. გარდა ამისა, სათხილამურო სპორტში დიდი მნიშვნელობა აქვს ინვენტარსაც, რაც ჩვენთან ჯერჯერობით არ არის საკმარისად. მაგრამ, რაც არის, უფრო აქტიური ვარჯიში იმითაც შეიძლება. თუმცა, როგორც ვხედავ, ზოგიერთი თქვენი სპორტსმენი კარგადაა ეკიპირებული. დანარჩენი სისუსტე ალბათ, მწვრთნელთა დაბალ კვალიფიკაციას და სიზარმაცეს უნდა დავაბრალოთ.

**ალექსანდრ გრიშჩენკო** — საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი: თქვენთან, რატომღაც, სათხილამურო სპორტი არ არის მასობრივად განვითარებული. სპორტსმენს ხანგრძლივი მუშაობა და ამავე დროს პატარა ასაკიდან ტრასებზე ვარჯიში, შეჯიბრებებში ხშირი მონაწილეობა სჭირდება. თქვენები მეტ დროს თავისუფალ სრიალს ანდომებენ, საჭიროა მწვრთნელებმა მეტი ამუშაონ სპორტსმენები კარებიან ტრასებზე.

**ყაზბეგ თიბილოვი** — ბაკურიანის უმაღლესი დაოსტატების სკოლა-ინტერნატის დირექტორი: ჩვენს სპორტსმენებს ქულების ნაკლებობის გამო ბოლო ნომრებად უწევთ გამოსვლა, ამ დროს ტრასები უკვე დათხრილია და შედეგიც ძირითადად იმიტომაა დაბალი. შარშან უძლიერესებთან 8-10 წამს ვაგებდით, წელს ეს დრო 3-4 წამამდე შემცირდა. ე. ი. წინსვლა იგრძნობა. ძალიან გვიშლის ხელს აღჭურვილობის ნაკლებობა, გვაფერხებს ისიც, რომ შევსება არ მოდის ბავშვთა სკოლებიდან. იქაც ინვენტარი არ გააჩნიათ, საჭიროა აგრეთვე მთიან რეგიონებში ბავშვებთან მეტი მუშაობა, რათა ბაკურიანის ინტერნატში შევსება მოდიოდეს.

ისეთი ბუნებრივი პირობები, როგორიც ჩვენ სპორტსმენებს აქვთ, სანატრელია. სხვათა სპორტსმენები მომზადებას ხშირად ჩვენთან გადიან. ზაფხულის სავარჯიშო ადგილებს კი ძებნა და ათვისება უნდა, თორემ ჩვენთან ისიც უკეთესია, ვიდრე სხვაგან. საქართველოს მოთხილამურეები თავიანთ ტრასებზე რომ ასე ულიმღამოდ გამოიყურებოდნენ, ეს ფაქტი აუცილებლად იმსახურებს დაფიქრებას!

**პირიმე ბვარლიანი,**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**
გუდაური.

შეფები — ბავშვებს!

# „ვეცდებით ჩვენი დამოკიდებულება ფორმალური არ იყოს“

შარშან პირველ სექტემბერს თელავის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს საჩუქრებით ხელდამშვენებული შეფები, რესპუბლიკის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენლები ეწვივნენ. ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მოსწავლეებს საგაზაფხულო არდადეგებზე თბილისში მოიწვევდნენ. და, აი, ინტერნატის 40 მოსწავლე ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა. მასპინძლებმა უპირველეს ყოვლისა თავიანთი სპორტული ბაზები დაათვალიერებინეს. მძლეოსნობის სახლეში გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება 60 მეტრზე სირბილში და სიგრძეზე ხტომაში. შემდეგ, აქვე, სასახლეში, ჭადრაკის სექციის წევრები ეთამაშნენ ინტერნატელებს. სამწუხაროდ, ძლიერი ქარის გამო, არ შედგა მათი შეხვედრა დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „შევარდენის“ ფეხბურთელებთან. გარდა სპორტულისა, პროგრამაში დიდი ადგილი ეკავა კულტურულ ღონისძიებებს. სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები, და კიდევ ერთი, შეისრულეს დიდი ხნის ოცნება — სპორტის სასახლეში დაესწრნენ რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების ერთობლივ წარმოდგენას.



რესპუბლიკის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების პროპაგანდის სამმართველოს უფროსი ირინა ბოროდულინა:

— ასეთ კონტაქტებს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ყურადღება და ზრუნვა, დარწმუნებული ვარ, მათი სულის ფორმირებაში დადებით როლს შეასრულებს. ჩვენთან საუბარში ბავშვებმა სურვილი გამოთქვეს შეხვდნენ საქართველოს წამყვან მოჭიდავეებს. ეს გასაგებიცაა: ინტერნატს ხომ ბევრი წარმატებები აქვს მოპოვებული სპორტის ამ სახეობაში. სხვათა შორის, ინტერნატში ახლაც სპორტული ნიჭით დაჯილდოებული არაერთი ბავშვია. ჩვენთან შეხვედრაზე სპეციალისტებმა აზრი გამოთქვეს, რომ მათ ჭიდაობის გარდა ორიენტაცია მძლეოსნობაზე აიღონ. წელს ინტერნატის ტერიტორიაზე დამთავრდება სპორტული დარბაზის მშენებლობა. ჩვენ, ცხადია, მონაწილეობას მივიღებთ მისი სპორტული ინვენტარით აღჭურვაში. ერთი სიტყვით, ვეცდებით, რომ ჩვენი დამოკიდებულება ფორმალური არ იყოს.

**ჯემალ კახრაძე.**

პასუხი „ლელოს“ — კვლევითობა

# „დახლებზე კი სიცარიელე იყო...“

რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „სპორტკულტსაქონლის“ დირექცია გაცნობებთ, რომ განვიხილეთ თქვენს გაზეთში ა. წ. 14 თებერვალს გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი „დახლებზე კი სიცარიელე იყო“...

ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ რუსთავის გაერთიანების სათავო მაღაზიაში არ იყიდებოდა 33-38 ზომების რეზინის სპორტული ფეხსაცმელი და 40 ზომის ბავშვის ბამბის სპორტული კოსტუმი, № 2 ფილიალში — 42 და № 4 ფილიალში — 44 ზომის ბავშვის ბამბის სპორტული კოსტუმები. ეს გარემოება გამოწვეულია რუსთავის გაერთიანების მუშაკთა დაუდევრობით, ვინაიდან აღნიშნული ზომის საქონელი საკმაო რაოდენობითაა გაერთიანების ლილოს სავაჭრო შემსყიდველ ბაზაში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, საერთოდ, მრეწველობა ვერ აკმაყოფილებს გაერთიანება „სპორტკულტსაქონლის“ განაცხადს სასკოლო ასაკის ბავშვის რეზინის სპორტულ ფეხსაცმელზე. ასე მაგალითად:

1988 წელს მრეწველობამ ნაცვლად 120,0 ათასი წყვილისა, მოგვაწოდა 65,0 ათასი წყვილი, ხოლო 1989 წელს ნაცვლად 200,0 ათასი წყვილისა, მრეწველობა (საწარმოო პროგრამის მიხედვით) მოგვაწვდის მხოლოდ 96,5 ათას წყვილს. ამასთან, თბილისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანამ, რომელიც აწარმოებდა 2468 არტიკულის 31-34 ზომების რეზინის სპორტულ ფეხსაცმელს, 1988 წელს მოხსნა იგი წარმოებიდან და დაიწყო ფართო მოხმარების იგივე ზომების შედარებით მაღალი ფასის (5 მან. 25 კაპ. ნაცვლად 2 მან. 85 კაპ.) ნაწარმის გამოშვება, რითაც წარმოიშვა მისი დეფიციტი.

ანალოგიური ვითარებაა შექმნილი შალისა და ნახევრად შალის სპორტულ კოსტუმებზეც: 1988 წელს რესპუბლიკის მრეწველობამ (თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა „დინამო“ და თბილისის სპორტნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკა) მხოლოდ 56 პროცენტით დააკმაყოფილა ჩვენი განაცხადი, ხოლო 1989 წელს დააკმაყოფილებს 48 პროცენტით.

აღნიშნული საკითხების შესახებ ეცნობა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს.

**ილია დათუნაშვილი,**
გაერთიანება „სპორტკულტსაქონლის“ გენერალური დირექტორის მოადგილე.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
### უმაღლესი ლიგა

მკითხველებს ვთავაზობთ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის სტატისტიკურ ანგარიშს.

**„როტორი“ — „სპარტაკი“ 0:3 (0:3).** უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა ვერაფერი გააწყო სპარტაკელთა იერიშების წინააღმდეგ, ჩერენკოვმა და შმაროვმა (ორჯერ) ჯერ კიდევ შესვენებამდე გაანაღდეს სტუმრების გამარჯვების საქმე.

დუბლიორები — 0:4.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: გ. სეფიაშვილი, თ. ლაცაბიძე, ა. კოკაია (ყველა—თბილისი). ბრიგადის სამივე წევრმა ფრიადი შეფასება დაიმსახურა.

**„ლოკომოტივი“ — „დნეპრი“ 0:1 (0:1).** გოლი გაიტანა შახოვმა.

გააფრთხილეს „დნეპრის“ მეკარე გოროდოვი.

დუბლიორები — 0:1.

**„დინამო“ (კიევი) — „ჩერნომორეცი“ 4:0 (1:0).** გოლები: ლიტოვჩენკო (2), დემიანენკო, პროტასოვი.

დუბლიორები — 2:1.

**„დინამო“ (მინსკი) — „პამირი“ 2:1 (0:1).** გოლები: მუჰამედიევი („პამირი“), მეტლიცკი-2 („დინამო“).

გააფრთხილეს მინსკელი ლესუნი, აგრეთვე, დუშანბელი ფეხბურთელები ზაზდრავნიხი, ბატურენკო, სარტაკოვი და მუჰამედიევი.

დუბლიორები — 5:1.

**„ჟალგირისი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0.**

გააფრთხილეს დინამოქლი დობროვოლსკი.

დუბლიორები — 2:1.

**„მეტალისტი“ — „შახტიორი“ 2:1 (1:0).** გოლები: რალიუჩენკო, იაკუბოვსკი („მეტალისტი“), კომბოზევი („შახტიორი“).

გააფრთხილეს რალევიჩი, ევსეევი („შახტიორი“), რალიუჩენკო („მეტალისტი“).

დუბლიორები 1:2.

**„ზენიტი“ — „არარატი“ 0:1 (0:0). გოლი: ოვსეპიანი.**

გააფრთხილეს ლენინგრადელი ფეხბურთელები აფანასიევი და ჩუხლოვი, აგრეთვე, ერევნელები ანტონიანი და ოჰანესიანი.

დუბლიორები — 2:3.

● **ბანვლილ** ტურში სტუმრებმა და მასპინძლებმა თანაბარ წარმატებას მიაღწიეს: 3-3 მოგება, 2 შეხვედრა დამთავრდა ფრედ. მაგრამ ჩემპიონატის დაწყებიდან მასპინძლებმა უკვე 16 გამარჯვება მოიპოვეს, სტუმრებმა კი მხოლოდ ექვსი. სხვა 10 შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

● **ბომბარდირთა** შორის დაწინაურდა კიევის „დინამოს“ ფეხბურთელი ო. ლიტოვჩენკო, რომელმაც 4 გოლი გაიტანა. 3-3 ბურთი გაიტანეს მინსკელმა მეტლიცკიმ და სპარტაკელებმა როდიონოვმა და შმაროვმა.

● **ბანვლილ** ტურში უმაღლესი ლიგის 15 ფეხბურთელმა ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

● **ყველაზე** მეტი ბურთი მეხუთე ტურისთვის გაიტანეს კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა 10-10. ყველაზე ნაკლები „ზენიტმა“ —1.

# ნახევარფინალში—ორი გუნდით

**თბილისში** დასრულდა ოლიმპიური რეზერვებისა და ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული სპეციალიზებული სკოლების საკავშირო პირველობის შესარჩევი ციკლი. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ამ პრესტიჟულ ასპარეზობის შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება აშხაბადში გამართულ ტურნირზე თბილისის 35-ე სპეციალიზებული სკოლის ფეხბურთელებმა მოიპოვეს. და აი, მათ თბილისის „ნორჩი დინამოელის“ კოლექტივიც შეუერთდა. დინამოელებმა თბილისში გამართულ ტურნირში ყველა შეხვედრა ალმავლობით ჩაატარეს, დიდი ანგარიშით დაამარცხეს კლაიპედელი თანატოლები (3:0), შემდეგ ლენინგრადელ ჭაბუკებს სძლიეს (1:0) და შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩი ბაქოელ თანატოლებთან გამართეს; ამ მატჩს სატურნირო ცხრილში არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო, რადგან რა ანგარიშითაც არ უნდა დამთავრებულიყო იგი, ჩვენს ბიჭებს შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება უკვე განაღდებული ჰქონდათ. როგორც გაუწყეთ, ხულიგნური საქციელისთვის გათამაშებიდან მოხსნეს ფრუნზეს გუნდი, დინამოელებს კი სწორედ მათთან ჰქონდათ ჩასატარებელი III ტურის მატჩი. ამ შეხვედრაში ჩვენს ფეხბურთელებს გამარჯვება ჩაეთვალათ, ბაქოელებთან ბოლო ტურის წინ მასპინძლებს 6 ქულა ჰქონდათ და მიუწვდომელი იყვნენ მეტოქეთათვის.

მიუხედავად ამისა, თამაშზე მისული მაყურებელი საინტერესო ორთაბრძოლის მოწმე გახდა, დინამოელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა, მათ წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურეს სტუმრებს და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს — 3:1. ბურთები გაიტანეს ჩიბაშვილმა, კიურჯიევმა და ნადარეიშვილმა.

დინამოელებმა თამაში ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: კობახიძე (ნაჭყებია), გუჯაბიძე, ოქროპირიძე, გეგეშიძე, თიგიშვილი (მაისურაძე), მაღრაძე, ჩიბაშვილი, ნადარეიშვილი, სირაძე, (მურმანიშვილი), ჯანჟალეიშვილი (ხოსროშვილი), კიურჯიევი. გამარჯვებულ გუნდს წვრთნიან რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები რ. გაგუა და ს. აპრესიანი (სკოლის დირექტორი ო. უშვერიძე).



თბილისისა და ბაქოს ჭაბუკ ფეხბურთელთა შეხვედრის მომენტი.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

კარგი თამაშით თავი გამოიჩინეს ა. კიურჯიევმა, გ. ჩიბაშვილმა და გ. გუჯაბიძემ.

მაშ ასე: თბილისის ორი საფეხბურთო კოლექტივი — 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა და „ნორჩი დინამოელი“ გათამაშების ნახევარფინალში გავიდა, ეს ასპარეზობა ივნისში გაიმართება, დროს და ადგილს ჩვენი გაზეთის მკითხველებს შევატყობინებთ.

ასპარეზობის შემდეგ გვესაუბრა შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის არბიტრი ა. რევზიშვილი.

— დავიწყებ იმით, რომ შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, მადლობის მეტი არაფერი არ გვეთქმის „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობის მიმართ, რომელმაც ყველაფერი იღონა საინტერესო შეჯიბრების უნაკლოდ ჩასატარებლად.

რაც შეეხება თვით ასპარეზობას ამ ასაკში ასეთ გააზრებულ თამაშს მონაწილე გუნდებისას ნამდვილად არ ველოდი. ფეხბურთელები კარგად იყვნენ მომზადებული, შემიძლია დავასახელო ტურნირის რამდენიმე მოთამაშე, რომელიც ახლავე წარმატებით დაიცავს მოზრდილთა გუნდების ღირსებას, თბილისის „ნორჩი დინამოელი“ შეჯიბრებაში მონაწილე კოლექტივებს შორის ორი თავით მაღლა იდგა.

მინდა აღვნიშნო არბიტრთა კვალიფიციური მსაჯობა, მათ შორის საუკეთესო კი ვოლგოგრადელი ი. ნოვოკშონოვი იყო.

**ზაზა კახაძე.**

### სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# როცა ყველაფერი თბილისელთა წისქვილზე ასხამდა წყალს...

**თბილისი. საქართველოს სპორტსახკომის ცენტრალური სასწავლო-საწვრთნელი კომპლექსის საცურაო აუზი.**

**„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ლვოვი) 8:12 (2:1, 2:2, 2:4, 2:5).**

**თბილისი: მიხეილ გიორგაძე, მიხეილ გიორგაძე (II), ზუმბულიძე, ბითაძე, კუტივაძე, დავითიანი, რამიშვილი; ბაღათურია, კანდელაკი, მაჭავარიანი, ასათიანი.**

**ლვოვი: ეგოროვი, როედესტვენსკი, ბერენდიუგა, სტარუსევი, პროკოპჩუკი, სმირნოვი, ხარინი; სიდოროვი, ანდრეევი, პროკოპენკო, პოტულნიცკი.**

**წლევანდელი** ჩემპიონატის კალენდარი მეორე წრის პირველ ნახევრამდე ე. ი. IV ტურის ჩათვლით, ისეთი გამოდგა და იმგვარად აეწყო კიდეც, რომ თბილისელი წყალბურთელები (და მოსკოველებიც) უკეთესს ვერც ინატრებდნენ. ჩვენი გუნდი ოთხეულში გასასვლელად მთავარ კონკურენტებს ძირითადად ან საკუთარ „მინდორზე“ ხვდებოდა ან ნეიტრალურ სარბიელზე, ლვოველი დინამოელები კი ერთადერთნი აღმოჩნდნენ, რომლებმაც ორივე წრის მატჩები ქართველ წყალბურთელებთან თბილისში ჩაატარეს.

ამას გარდა, უკანასკნელი ტურის შეხვედრები მოსკოვის ჯგუფში თბილისელთათვის ხელსაყრელი შედეგებით დამთავრდა. ასევე მოხდა თბილისის ჯგუფშიც, ოღონდ უკანასკნელ მატჩამდე, მასპინძელთა და ლვოველთა შეხვედრამდე.

ერთი სიტყვით, ყველაფერი თბილისელთა წისქვილზე ასხამდა წყალს. და აი, თბილისელი და ლვოველი წყალბურთელები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ.

ვიდრე ამ შეხვედრაზე ვიტყოდეთ რამეს, გვინდა გავიხსენოთ მათი პირველ წრეში ჩატარებული მატჩი, რომელიც ფრედ დამთავრდა.

საერთოდ, წყალბურთში მოთამაშეთა გაძევება 35 წამით ან ბურთის გატანამდე ძალზე ჩვეულებრივი რამაა. მსაჯებს არც თუ ისე იშვიათად უხდებათ მოთამაშის შეხვედრის ბოლომდე გაძევებაც, შეცვლის უფლებით. ქართველი წყალბურთელები ასეთ სასჯელს იშვიათად იმსახურებენ.

აი, თბილისელ და ლვოველ წყალბურთელთა პაექრობისთვის კი ასეთი რამ უკანასკნელ წლებში ნიშანდობლივი გახდა.

პირველ წრეში ეს გუნდები, როგორც იტყვიან, ჯარიმის ზღურბლზე თამაშობდნენ, მაგრამ მაშინ რაკი ვერცერთმა მეტოქემ ვერ მიაღწია უპირატესობას, აკრძალულ ილეთებსაც მიმართეს. არბიტრები მოწინააღმდეგეებს სარბიელიდან მალიმალ აძევებდნენ. ბოლოს მათ კუტივაძესა და როჟდესტვენსკის თამაშის ბოლომდე შეცვლის უუფლებოდ დაატოვებინეს სარბიელი.

იგივე სურათი განმეორდა გუშინწინდელ შეხვედრაშიც. მესამე პერიოდის დამთავრებამდე ორწუთნახევრით ადრე არბიტრებმა თბილისელთა ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირ რამიშვილს პროკოპჩუკთან შეხლა-შემოხლისთვის თამაშის ბოლომდე შეცვლის უუფლებოდ დაატოვებინეს სარბიელი და მატჩის ბედიც ამ შემთხვევამ გადაწყვიტა, რა თქმა უნდა, ლვოველთა სასარგებლოდ.

არადა, მანამდე ლვოველები მხოლოდ ერთხელ დაწინაურდნენ, როცა ანგარიში გახსნეს. ჩვენი სტუმრები ამის შემდეგ, იმ შემთხვევამდე, ერთთავად მდევრების როლში იყვნენ. ანგარიშის გათანაბრებას თბილისელთა დაწინაურება მოსდევდა.

უნდა ითქვას, რომ ლვოველები, ტრადიციულად, ერთთავად აკრძალულ ილეთებითაც ცდილობდნენ თბილისელთა წონასწორობიდან გამოყვანას და მიზანსაც მიაღწიეს.

მაგრამ ეს ყველაფერი რამიშვილს სულაც არ ამართლებს. მუშტი-კრივს ისევ მოთმინება და გაძლება სჯობდა. ეს რამიშვილმაც მშვენივრად უწყოდა, მაგრამ...

ვინც ამ თამაშს დაესწრო, რამიშვილის საქციელით გამოწვეულ გულისწყრომას ვერ ფარავდა, მან ხომ წვითა და დაგვით მოპოვებული შედეგები ერთი ხელის მოსმით წყალში გადაყარა, ასეთ დროს, როცა გუნდს შეეძლო მეორე ადგილზე მტკიცედ დამკვიდრებულიყო, სპორტსმენი ლვოველთა პროვოკაციულ გამოხდომებს არ უნდა წამოგებულიყო...

დიახ, მეტად მნიშვნელოვანი ქულა თუ ქულები დავკარგეთ. და მაინც, ყველაფერი დაკარგული არ არის. თბილისელები ახლა ლვოველებთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილზე არიან. ეს კია, ოთხეულში დასამტკიცებლად, რაც მედლებისთვის ბრძოლის გაგრძელების გარანტიას იძლევა, თბილისელებს მეტად მძიმე და თავდაუზოგავი ბრძოლა ელით, თანაც მოსკოვში, იქაურ გუნდებთან: „დინამოსთან“, სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალურ სპორტულ კლუბთან, „უნივერსიტეტთან“ და „ტორპედოსთან“.

მოსკოვში პირველ შეხვედრაში რამიშვილი სარბიელზე ვეღარ გამოვა. არადა, მან თბილისში, კიეველ თანაკლუბელებთან მატჩში, 5 ბურთი გაიტანა, ლვოველებთან ორჯერ მოასწრო კარის დალაშქვრა (მის გარდა ლვოველებთან შეხვედრაში ბურთები გაიტანეს დავითიანმა — 2, კუტივაძემ, ბაღათურიამ, გვახარიამ, გიორგაძემ; სტუმართაგან — პროკოპჩუკმა — 4, სტარუსევმა — 3, პოტულნიცკიმ — 2, გლუშკომ, სმირნოვმა და ბერენდიუგამ).

დასასრულ, გვინდა იმედი დავიტოვოთ, რომ აპრილის ბოლოს მოსკოვში, V ტურის შეხვედრებში თბილისელები გუშინწინდელ გაკვეთილს დაიმახსოვრებენ, მეტოქის უხეშობას უხეშობით არ უპასუხებენ, შენიღბულ თუ აშკარა პროვოკაციას არ წამოეგებიან და საბოლოო წარმატებისთვის ყველაფერს იღონებენ.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

მოსკოვის ტურის ბოლო შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) 13:11, სსფ ცსკა — „ტორპედო“ (მოსკოვი) 9:7.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მ.) | 14 | 11 | 2 | 1 | 24 |
| ცსკა ვმფ | 14 | 9 | 2 | 3 | 20 |
| „დინამო“ (ლვ.) | 14 | 8 | 3 | 3 | 19 |
| „დინამო“ (თბ.) | 14 | 8 | 3 | 3 | 19 |
| „დინ.“ (ალ.-ათა) | 14 | 7 | 2 | 5 | 16 |
| „უნივერ.“ (მ.) | 14 | 7 | 2 | 5 | 16 |
| „დინამო“ (კ.) | 14 | 3 | 4 | 7 | 10 |
| „ტორპ.“ (მ.) | 14 | 3 | 4 | 7 | 10 |

◉ ფეხბურთი

## საქართველოს პირველობა

**ვასულ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის 1989 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის I ტურის მატჩები. გთავაზობთ ამ შეხვედრათა ტექნიკურ შედეგებს.**

**„სულორი“ (ვანი) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:1, მსაჯები ი. კანდელაკი, ნ. კილაძე, თ. სოფრომაძე (თბილისი).** გოლები: ძამაგიძე („არაგვი“), დვალიშვილი („სულორი“).

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 5:0. მსაჯები: რ. ტალიაშვილი, დ. მენთეშაშვილი, გ. ხეჩუაშვილი (თბილისი).** გოლები: აფაქიძე—3, კონჯარია, კუკავა („დინამო“).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 5:1. მსაჯები მ. მალაღურაძე, მ. კობიაშვილი, ლ. მგელაძე (თბილისი).** გოლები: როსტობაია-3, დ. კაკუბავა, გ. გაბისონია („ამირანი“), ტოგონიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

სამწუხაროდ, ამ მატჩში მოხდა დისციპლინის უხეში დარღვევები, თამაშის 23-ე წუთზე გააფრთხილეს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელები ზ. ძაგანია და ე. ხურციძე მსაჯის გადაწყვეტილების უარყოფისათვის, ხოლო მე-17 წუთზე ჩხუბისათვის მინდვრიდან გააძევეს ზ. ღურწკაია („ამირანი“) და დ. ძაგანია (ფიზ. ინსტ.).

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:0, მსაჯები ვ. ალიევი, ა. ხილაგავა, ზ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: ი. გიორგობიანი, ჰ. იობიძე („შადრევანი“).

გააფრთხილეს ზ. ბედოშვილი— უხეში თამაშისთვის და ზ. ძაგანიშვილი — დროის განზრახ გაყვანისთვის (ორივე — „არმაზი“).

**„დინამო“ (გაგრა) — „ივერია“ (ხაშური) 2:2. მსაჯები მ. კობიაშვილი, ლ. მგელაძე, მ. მალაღურაძე (თბილისი).** გოლები: გოგიაშვილი, მანჯგაძე („დინამო“), ნოზაძე, რობაქიძე („ივერია“).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 4:1. მსაჯები ე. ხილაგავა, ი. კანდელაკი, თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: დევიძე, ორბელაძე, ფანჩულიძე, ქურცაძე („საპოვნელა“), ბაბელაშვილი („ბახტრიონი“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ხქური“ (წალენჯიხა) 2:0. მსაჯები ვ. ეჯიბია, ა. მანუკიანი (თბილისი), ვ. ბაგაევი (ცხინვალი).** გოლები: რომელაშვილი, სანაკოევი („სპარტაკი“).

გააფრთხილეს მ. სანაკოევი („სპარტაკი“), სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისათვის.

სამწუხაროდ, ამ მატჩზე არ გამოცხადდა თბილისელი მსაჯი ვ. კლიმჩენკო, ამ ფაქტზე უნდა იმსჯელოს მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის პრეზიდიუმმა.

**„ხიონი“ (ბოლნისი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 0:1. მსაჯები ხ. შალამბერიძე, გ. თხელიძე, ა. წერეთელი (თბილისი).** გოლი: ა. ასათიანი („მალაროელი“).

გააფრთხილეს კ. ქობულაძე („მადნეული“) მსაჯთან კამათისთვის და ჯ. ასანიძე („მალაროელი“) სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის.

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:0. მსაჯები გ. ხეჩუაშვილი, რ. ტალიაშვილი, დ. მენთეშაშვილი (თბილისი).**

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს კ. სიჭინავა („სამეგრელო“) და თ. გაბრიჭიძე („მალაროელი“) მსაჯთან კამათისთვის.

ტურნირის ექო

# ოთხიდან — სამი

## ანუ გამარჯვება კვიპროსში

„კვიპროსის დიდი პრიზის" გათამაშება სასტენდო სროლაში, თუმცა კი უკვე ტრადიცული შეჯიბრების სტატუსს ატარებს, სულ ოთხი წელია რაც იმართება. ამიტომაც ამ ჯილდოების მფლობელთა ნუსხა საკმაოდ მოკლეა. სასიხარულოა, რომ ამ საპატიო სიაში მოზრდილი ადგილი უკავიათ ქართველ მესტენდურეებს, რომლებიც მეორე ტურნირის გარდა (მაშინ იქ რსფსრ-ის ნაკრები გაგზავნეს), ყველა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ. „დიდი პრიზების" მფლობელები არიან თამაზ იმნაიშვილი, არჩილ საბედაშვილი, მთლიანად ჩვენი გუნდები, შოთა თავაძეს კი ორი „ვერცხლი" აქვს მოპოვებული...

წლევანდელი ტურნირი, ცოტა არ იყოს, უჩვეულო ვითარებაში ჩატარდა, მონაწილენი ერთბაშად ორ სასროლეთზე, ნიქოზიაში და ლარნაკში ასპარეზობდნენ (ადგილმონაცვლეობით). ამან, ცხადია, არათანაბარ პირობებში ჩააყენა ისინი: როდესაც, ვთქვათ ლარნაკში, ქარი ქროდა, ნიქოზიაში დარი იყო და ა. შ. შედეგებიც ამის გამო არ იყო მაღალი.

და მაინც, მეტად სასიხარულოა, რომ ოთხი მთავარი ჯილდოდან სამი საქართველოში „გამოემგზავრა": ადგილიდან სროლაში შესანიშნავი წარმატება მოიპოვა თბილისელმა გიგა ქიშმარეიშვილმა („დინამო"), 18 წლის სპორტსმენმა აშკარა უპირატესობით აჯობა ბევრ გამოცდილ მეტოქეს. მან ძირითად სერიებში 183 სამიზნე დააზიანა, ფინალში კი ყველა — ოცდახუთივე და „კვიპროსის დიდი პრიზი" დაიმსახურა. ეს ჯერჯერობით ყველაზე დიდი წარმატება გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტისთვის.

მეორე ადგილიც მისმა თანაგუნდელმა, თბილისელმა სერგეი ანდრეევმა (სკ) დაიკავა. მისი შედეგია 203 ქულა (182+21), ბერძენი კანაკადოსი მესამე ადგილზე გავიდა — 202 (179+23).



გიგა ქიშმარეიშვილი (მარცხნივ) და გია შენგელია „დიდ პრიზებთან" ერთად.

მრგვალ სტენდზე, სადაც ტრადიციულად მონაწილეთა შედარებით ძლიერი შემადგენლობა იყრის თავს, უძლიერესის სახელი მოიპოვა თბილისელმა ექიმმა გია შენგელიამ („დინამო"), მოიპოვა მეტად დრამატულ ბრძოლაში. საქმე ისაა, რომ მან და კვიპროსელმა კურტსისმა თანაბარი შედეგებით დაამთავრეს ბრძოლა, ორივეს 216-216 (192+24) ქულა ჰქონდა. დამატებითი სერიის (პირველ აცდენამდე) მეექვსე პოზიციაში წყვილი გასროლა საბედისწერო გამოდგა ასპარეზობის მასპინძლისთვის და „დიდი პრიზი" გია შენგელიას გადაეცა. ზემოთდასახელებულ ჩვენს სპორტსმენებს ზურაბ მაჩხანელი, ტარიელ ქლენტი და გელა სიმონიანი ავარჯიშებენ.



სერგეი ანდრეევი

საქართველოს ნაკრებმა მოიგო გუნდური შეჯიბრება ადგილიდან სროლაში — 407 ქულა 450 შესაძლებლიდან (მეორე იყო კვიპროსის ნაკრები — 387, მესამე-საბერძნეთისა — 385), ხოლო მრგვალ სტენდზე მესამე ადგილი დაიკავა — 419 ქულა, ფინელები მეორე ადგილზე გავიდნენ — 421, მასპინძლები-პირველზე (427).

სხვა ჩვენი მონაწილეების შედეგები ასეთია: თამაზ იმნაიშვილი და დავით ქვათაძე — 185-185 ქულა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ სპორტის დამსახურებული ოსტატი თ. იმნაიშვილი სეულის ოლიმპიადის შემდეგ ისვენებდა და მხოლოდ ახლა აიღო ხელში თოფი. პირად პირველობაში თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა არჩილ საბედაშვილი.

## კიდევ ოთხი მატჩი

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები.

**რიგა.** ადგილობრივი ვეფ-ისა და მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელთა შეხვედრაში მასპინძლებმა მეორედაც გაიმარჯვეს — 100:92.

**ტალინი.** მინსკის რტი-მ კიდევ ერთი შეხვედრა წააგო, ამჯერად ტალინში „კალევთან" ანგარიშით 85:92 (29:48).

**პანევეჟისი.** ვილნიუსის „სტატიბამ" მოსკოვის არმიელებს ამ ქალაქში უმასპინძლა. გამარჯვება მოიპოვა ცსკა-მ — 91:74 (42:36).

**ალიტუსი.** კაუნასის „ჟალგირისმა" პირველი მატჩი მოუგო რიგის ვეფ-ს — 110:72 (62:42).

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 4 აპრილისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „ჟალგ." (კაუნ.) | 35 | 32 | 3 | 67 |
| ასკ (ალმა-ათა) | 38 | 25 | 13 | 63 |
| „სტროიტ." (კ.) | 34 | 28 | 6 | 62 |
| ცსკა | 36 | 24 | 12 | 60 |
| „დინამო" (მ.) | 38 | 21 | 17 | 59 |
| „სტატ." (ვილ.) | 39 | 18 | 21 | 57 |
| „კალევი" (ტალ.) | 37 | 18 | 19 | 55 |
| რტი (მინსკი) | 37 | 15 | 22 | 52 |
| „დინამო" (თბ.) | 36 | 15 | 21 | 51 |
| ვეფ (რიგა) | 40 | 10 | 30 | 50 |
| „შახტ." (დონ.) | 36 | 9 | 27 | 45 |
| „სპარტ." (ლენ.) | 38 | 7 | 31 | 45 |

**შენიშვნა:** ცხრილში არ არის შეტანილი თბილისის „დინამოსა" და დონეცკის „შახტიორის" გუშინდელი მატჩის შედეგი.

## გუშინ...

**კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში თბილისის „დინამომ" დაამარცხა დონეცკის „შახტიორი" 104:91 (62:45).**

## სენსაციური გამარჯვება მეოთხედფინალში

**დორტმუნდი.** მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ერთ-ერთ მთავარ ფავორიტთან — სამხრეთ კორეის გუნდთან 5:3. აღსანიშნავია, რომ სამხრეთკორეელთა ღირსებას იცავდნენ სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი თუ ნამ კიუ და ვერცხლის პრიზიორი კიმ კი ტაიკი. საბჭოთა სპორტსმენები ამ ორთაბრძოლას აგებდნენ ანგარიშით — 0:2 და 1:3, მაგრამ ძმებმა ანდრეი და დიმიტრი მაზუნოვებმა, აგრეთვე, ვლადიმერ დვორაკმა შეძლეს გარდატეხის შეტანა და ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგეს.

სხვა მეოთხედფინალური მატჩები ასეთი შედეგებით აღინიშნა: ჩინეთი — პოლონეთი 5:0, შვეცია — გფრ 5:1, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა — იაპონია 5:1.

გაიმართა ნახევარფინალური მატჩები ვაჟთა შორის. ჩინეთის გუნდმა დაამარცხა სსრ კავშირის ნაკრები 5:1, შვედებმა კი კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს აჯობეს — 5:0. ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჩინეთის ნაკრები, რომელმაც ფინალში სამხრეთ კორეის გუნდი დაამარცხა — 3:0.

თვის მონაგარი

# ზამთრის სახეობებშიც გამოირჩნდნენ

(დასასრული)

სკოლაში ამერიკელ ბაბისა და კანადელ ფრეშეტის შემდეგ მესამე შედეგი აჩვენა. ხრისტინა ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობაში მხოლოდ იმავე სპორტსმენებს ჩამორჩა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. წყვილთა შეჯიბრებაში თბილისელი სპორტსმენი ლენინგრადელ ვერა არტიომოვასთან ერთად კვლავ მესამე იყო. აქ მათ მხოლოდ კანადელთა წყვილებმა აჯობეს.

ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ საბჭოთა სინქრონული ცურვის ოსტატები, ხრისტინას მეთაურობით, სპორტის ამ სახეობაში ტონის მიმცემთა შორის იმკვიდრებენ ადგილს.

**ბონში** გამართულ მოცურავეთა დიდ საერთაშორისო ტურნირში ძალას ცდიდა თბილისელი როლანდ სვადაგიანიც. მან 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მეორე ადგილი დაიკავა. იმავე სტილით მოცურავეთა ესტაფეტაში 4X50 მეტრზე კი თანაგუნდელებთან ერთად პირველი იყო.

**სოციალისტური** ქვეყნების მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირზე („მეგობრობა-89"), რომელიც ბუდაპეშტში ჩატარდა, თბილისელებმა არჩილ ლორთქიფანიძემ და ოლეგ ჩერნიშოვმა შესაბამისად ხმლითა და რაპირით ასპარეზობაში ყველას აჯობეს.

**ბარდაბნის** რაიონის სოფელ პატარა ლილოს წარმომადგენელი იოსებ შავერდაშვილი ადლერში გამართულ მძლეოსანთა საკავშირო პირველობაზე (ახალგაზრდებს შორის) უძლიერესი იყო უროს ტყორცნაში, სადაც საქართველოს სპორტის ამ სახეობის ისტორიაში მეორე შედეგი (71,12 მეტრი) აჩვენა.

**კიშინიოვში** გამართულ აკრობატთა საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს წარმომადგენლებმა გუნდურ პირველობაში მესამე ადგილი დაიკავეს. ასევე მესამე ადგილზე გავიდა თბილისელთა ოთხეული: ემზარ აბუაშვილი, დიმიტრი კარტოზია, ვაჟა არაყიშვილი და ნიკოლოზ მჭედლიძე, რომლებმაც ამ წარმატებას ჯგუფურ ვარჯიშში მიაღწიეს. ამას გარდა, ამ ოთხეულმა ორი მცირე ოქროს მედალიც მოიპოვა.

სამწუხაროდ, თავიანთ შესაძლებლობებზე სუსტად გამოვიდნენ მსოფლიო ჩემპიონები ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი და სვეტლანა მაკარიჩევა. მართალია, მათ ჯგუფურ ვარჯიშში ორი მცირე ოქროს მედალი მოიპოვეს, მაგრამ აბსოლუტურ პირველობაში მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდნენ.

**თბილისელი** მხატვრული ტანმოვარჯიშეები ძალას ცდიდნენ ბელგიის ქალაქ ლუკენ-ლა-ნევიში მონიკა ტიბოს პრიზზე მოწყობილ საერთაშორისო ტურნირში.

ამ ასპარეზობაში, რომელშიც 12 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, პირველად მიიწვიეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა გუნდი, რომელიც მთლიანად თბილისელი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. სასიამოვნოა, რომ მათ ეს პატივი გაამართლეს.

მრავალჭიდში უძლიერესის სახელი მოიპოვა თინათინ ნადირაშვილმა. მეორე იყო მისი თანაგუნდელი ნატო ლეშკაშელი. ამას გარდა, ნადირაშვილი უძლიერესი გახლდათ ბაფთით და ბურთით ვარჯიშში, ლეშკაშელი კი — რგოლით და სახტუნელით ასპარეზობაში.

და კიდევ: ეკა აბრამიამ, მართალია, შეჯიბრებაში ვერ გაიმარჯვა, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ასპარეზობის ყველაზე მოხდენილ მონაწილედ აღიარეს, რაც „მშვენიერთა სქესის" წარმომადგენელთათვის არანაკლები სიხარულის მომგვრელია, ვიდრე ოქროს მედალი.

**ქართველ** მესტენდურეებს საერთაშორისო ტურნირი „კვიპროსის დიდი პრიზის" გათამაშება კარგად აქვთ დაცდილი. ისინი წლევანდელ ტურნირზეც დიდი იმედებით გაემგზავრნენ და მოლოდინიც გაამართლეს. ორივე მთავარი ჯილდო, რომლებიც მრგვალ სტენდზე და ადგილიდან სროლაში გათამაშდა, ჩვენმა სპორტსმენებმა დაიმსახურეს. მრგვალ სტენდზე ყველას აჯობა გია შენგელიამ, ადგილიდან სროლაში კი გიგა ქიშმარეიშვილმა იმარჯვა. აქ თავი გამოიჩინა კიდევ ერთმა თბილისელმა — სერგეი ანდრეევმა, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა.

**დიდად** პოპულარულია ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი ჟურნალ „სმენას" პრიზზე. წლევანდელ ტურნირს დასავლეთ საქართველოს რაიონებმა უმასპინძლა და აქ საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა.

თბილისში გამართულ მინიფეხბურთელთა საერთაშორისო ფესტივალზე, რომელშიც საქართველოს დედაქალაქთან დაძმობილებული ქალაქების გუნდებიც ასპარეზობდნენ, წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელები. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ოქროსუბანი" და სოხუმის გუნდი. გაიმარჯვეს თბილისელებმა.

**მარტში** გამართულ ძიუდოისტთა რამდენიმე დიდ საერთაშორისო ტურნირში საქართველოს წარმომადგენლები წარმატებით გამოვიდნენ.

საბჭოთა ძიუდოისტებისაგან მხოლოდ გორელმა ანზორ თენაძემ შეძლო პრაღის საერთაშორისო ტურნირის („განთავისუფლების თასი") ფინალში გასვლა, სადაც მეორე ადგილი დაიკავა.

ამავე ტურნირზე მესამე იყო თბილისელი ლერი ჟორჟოლიანი.

ჩვენი ქვეყნის ძიუდოისტები გამოდიოდნენ პოტსდამის (გდრ) საერთაშორისო ტურნირშიც, რომელიც ევროპის ჩემპიონატის წინ ფაქტობრივად უკანასკნელი ძალთა შემოწმება იყო.

აქ ამირან ტოტიკაშვილმა არავის დაუთმო პირველობა. კობა კურტანიძემ მესამე ადგილი დაიკავა.

ბუდაპეშტში გამართული ტურნირიდან გამარჯვებით დაგვიბრუნდა გურამ მოდებაძე.

ათენში თავი მოიყარეს 19 ქვეყნის თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, რომელთა შორის სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორებიც იყვნენ. სასიხარულოა, რომ ასეთ წარმომადგენლობით საერთაშორისო ტურნირზე გორელმა თამაზ ინდუაშვილმა უძლიერესის სახელი მოიპოვა.

## პირველი ადგილი უბრძოლველად

**კი-ბისკეინი** (აშშ, ფლორიდა შტატი). მოულოდნელად დამთავრდა ჩოგბურთელ ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. მოულოდნელად იმიტომ, რომ ფინალური შეხვედრის ჩატარება ვერ მოხერხდა და გამარჯვება უბრძოლველად ივან ლენდლს (ჩეხოსლოვაკია) მიეკუთვნა.

ნახევარფინალში ფრანგ იანიკ ნოასთან გამარჯვების შემდეგ (5:7, 3:6, 6:3, 6:3, 6:2) 21 წლის ავსტრიელი თომას მუსტერი თავის მწვრთნელთან ერთად მაღაზიაში აპირებდა შესვლას. გაჩერებაზე მათ მანქანას სხვა მანქანა დაეჯახა და ჩოგბურთელმა მიიღო ფეხის საკმაოდ მძიმე ტრავმა, რომლის განკურნებასაც, ექიმების აზრით, სულ ცოტა, ნახევარი წელი, დასჭირდება. ვინაიდან მეორე დღეს ლენდლს მეტოქე არ გამოუცხადდა, გამარჯვება მას მიენიჭა.

ქალთა შეჯიბრება არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ მოიგო, რომელმაც ფინალში 34 წლის ამერიკელი კრის ევერტი დაამარცხა 6:1, 4:6, 6:2.

## „სპორტპროგნოზი"

მე-14 ტირაჟის შედეგები (1-2 აპრილი)

1-2, 2-1, 3-1, 4-1, 5-1, 6-2, 7-X, 8-X, 9-1, 10-2, 11-2, 12-1, 13-X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07163